სსიპ. ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის

დირექტორს ქ-ნ მარინა ისკაკოვას

ამავე სკოლის IVგ კლასის ხელმძღვანელ

მაკა ჯანელიძის სადამრიგებლო კლასში

გაწეული სამუშაოს წლიური

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ 2022-2023 სასწავლო წლის დასასრულს მოსწავლეთა რაოდენობა IVგ კლასში არის 26. 15 ვაჟი და 11 გოგონა. აქედან 3 სსსმ მოსწავლე.

კლასში სუფევს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული გარემო. სწავლა სწავლება მიმდინარეობს ესგ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. ე.ს.გ. დაძლია 23 მოსწავლემ, ხოლო სამ მოსწავლეს საშემოდგომო გამოყვა მათემატიკაში, ქართულსა და ბუნებაში. ამათან მხოლოდ ერთ მოსწავლეს სამივე საგანში აქვს საშემოდგომო.

მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა საგანებში აქტიურად სრულდებოდა კომპლექსური დავალებები. საგნის მასწავლებლები ასევე ატარებდნენ ტესტებს და საკონტროლო წერებს.

ჩემი სადამრიგებლო კლასში საჭიროებისამებრ ვატარებდი მშობელთა კრებებს. გარდა ამ შეხვედრებისა, მუდმივი კონტაქტი მქონდა სადამრიგებლო კლასის თითოეულ მოსწავლესთან და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან. მათ ვაცნობდი გაკვეთილებზე დასწრების წესების შესახებ ზუსტ ინფორმაციას. მოსწავლეებთან მუდმივად მქონდა ერთობლივი თუ ინდივიდუალური საუბრები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. თვეში ორჯერ ვატარებდი სადამრიგებლო საათებს.

მოსწავლეებთან პირველივე შეხვედრაზე ერთობლივად შევიმუშავეთ საკლასო წესები, შევქმენით მორიგეობის ცხრილი და გამოვაკარით საკლასო ოთახის კედელზე. ნოემბრის თვეშივე ჩავატარე სადამრიგებლო საათი „თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარება“. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ჩავატარე შეჯიბრი თასმების სწრაფად, ორიგინალურად და მოხერხებულად შეკვრაში. ამ აქტივობის მიზანი იყო წამეხალისებინა ის მოსწავლეები, რომლებიც ჯერ ჯიდევ ვერ ახერხებდნენ თასმების დამოუკიდებლად შეკვრას. აქტივობამ დიდი დაინტერესება გამოიწვა მოსწავლეებში.

30 ნოემბერს IVგ კლასის მოსწავლეები, დამრიგებელი და მშობლები ვეწვიეთ ლადო მესხიშვილის დრამატულ თეატრს. ვნახეთ რეჟისორ კახა გოგიძის კომედია "იქ, სადაც ჩემი სახლია!...

დეკემბრის თვეში ჩავატარე სადამრიგებლო საათი “საახალწლო ბარათების დამზადება”. მოსწავლეებმა კოლაჟის და აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით შექმნეს ულამაზესი საახალწლო მისალოცი ბარათები. ასევე ვნახეთ მოკრემეტრაჟიანი მართლმადიდებლური მულტფილმი „საშობაო იგავი“. მოვწყვეთ მისი განხილვა. დეკემბრის თვეშივე მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად საკლასო ოთახი მოვრთეთ საახალწლოდ, რათა ბავშვებისათვის შემექმნა სადღესასწაულო განწყობა. ერთობლივი ძალისხმევით გავალამაზეთ ჩვენი საკლასო გარემო.

სასწავლო წლის დასასრულს ორგანიზება გავაკუკეთე, მოსწავლეებს ბედნიერ და ხალიასიან გარემოში ეთამაშათ „სეკრეტ სანტა“ და ერთმანეთი გაებედნიერებინათ საახალწლო სიმბოლური საჩუქრებით.

დეკემბრის თვეში IVგ კლასის მოსწავლეები ბარბარე ქათამაძე და ანასტასია ლიქოკელი მონაწილეობდნენ სკოლის თეატრალური დასის სპექტაკლში, რომელიც დაიდგა იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის მიხედვით ,,იავნანამ რა ჰქმნა?!, სპექტაკლმა ქუთაისის სასკოლო-თეატრალურ ფესტივალზე ,,N - ოვაცია 2023“ ექვს ნომინაციაში დაიმსახურა პრიზები და დიპლომები.

IVგ კლასის მოსწავლეები, სკოლის გარეთ, აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებში: ფეხბურთში, კალათბურთში, ჭიდაობასა და ქართულ ხალხურ ცეკვებში. მათ მიაღწიეს წარმატებებსაც.

მეორე სემესტრში ჩავატერე სადამრიგებლო საათები თემებზე: “მე რომ დამრიგებელი ვიყო“, „რა უნდა იდოს და რა არა მოსწავლის ჩანთაში“, „როცა სტუმრად მიდიხარ“, „26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე“. ვნახეთ დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები.

ურთიერთდასწრების ფარგლებში 2023 წლის 3 თებერვალს დავესწარი ჩემივე კათედრის წევრის, მუსიკის პედაგოგის ნინო დოღონაძის ღია გაკვეთილს ჩემს სადამრიგებლო IVგ კლასში. პედაგოგმა ქ-ნმა ნინო დოღონაძემ, კომპლექსური დავალების ფარგლებში, ჩაატარა მრავალმხრივ საინტერესო გაკვეთილი. კომპლექსური დავალების თემა იყო "მუსიკის როლი ანიმაციურ და საყმაწვილო კინოში".

გაკვეთილზე მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის იგრძნობოდა კეთილგანწყობა და თანასწორობაზე აგებული გარემო. ორივე მხრიდან იყო აქტიური მოსმენა და განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა. მასწავლებლის მიერ შერჩეული და წარმოდგენილი რესურსები იყო მიზნობრივი და თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასათვის. მთელი გაკვეთილის მანძილზე მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.

IVგ კლასის მოსწავლეები, დამრიგებელი და მშობლები 2023 წლის 27 აპრილს ვმყოფებოდით ქუთაისის ბოტანიკურ ბაღსა და ზაქარია ფალიაშვილის სახლ მუზეუმში. ბავშვებმა თავდაპირველად დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, შემდეგ ესტუმრნენ

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმს. სახლ- მუზეუმში ბავშვებს გიდობა გაუწია მუსიკის პედაგოგმა ნინო დოღონაძემ.

25 მაისს მათემატიკისა და ქართულის პედაგოგებმა მაია კაკაბაძემ და ელენე ჟღენტმა IVგ კლასში ჩაატარეს ინტეგრირებული გაკვეთილი „ოქროს კვეთა რუსთაველის პოემაში“. ეს იყო ერთგვარი გამოწვევა. ბავშვებს არ ჰქონდათ შესწავლილი არც პროპორცია და არც რუსთაველის პოეზიას არ იცნობდნენ. გაკვეთილზე კი მასწავლებლებმა მოსწავლეებს შეუქმნეს წარმოდგენა თუ რა არის პროპორცია და ოქროს კვეთა.

მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების გაანალიზებისათვის და მათი წინსვლის ხელშესაწყობად IVგ კლასში პირველი და მეორე სემესტრის ბოლოს ჩატარდა დიაგნოსტიკური შეფასება მათემატიკაში, ქართულსა და ბუნებაში.
მათემატიკის ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 24-მა მოსწავლემ და სულ შესასრულებელი ქონდათ 50 დავალება 2 გაკვეთილის განმავლობაში, ანუ საშუალოდ 1 დავალებაზე მოდიოდა დაახლოებით წუთნახევარი.
შედეგები შესრულებული დავალებების მიხედვით ასეთია:
ძალიან ცოტა, 50-დან დაახლოებით 8 დავალება შეასრულა 2-მა მოსწავლემ
დავალებების მესამედი, 50-დან დაახლოებით 17 დავალება სწორად შეასრულა: 7-მა მოსწავლემ;
დავალებების ნახევარზე მეტი, 50-დან დაახლოებით 30 დავალება სწორად შეასრულა 12-მა მოსწავლემ;
საშუალოზე მაღალი შედეგი აჩვენა 3-მა მოსწავლემ;
მოსწავლეებს ძირითადად გაუჭირდა ისეთი დავალებების შესრულება, რომელიც პირობის გააზრებას მოითხოვდა.

2022-2023 სასწავლო წელი დავაგვირგვინეთ ექსკურსიით სამეგრელოში. მოვინახულეთ დადიანების სასახლე ზუგდიდში, ნიკოსეული სასახლე და საზაფხულო რეზიდენცია სალხინოში, ასევე დავათვალიერეთ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, მარტვილის კანიონი და გავისეირნეთ ნავებით.

პატივისცემით